

კარატაში და ბოლა თურქეთის წინააღმდეგ

( **CASE OF KARATAS AND BOGA v. TURKEY** )

(განაცხადი 24669/94)

განჩინება

(მეგობრული მორიგება)

სტრასბურგი

2000 წლის 17 ოქტომბერი

## საქმეზე კარატაში და ბოლა თურქეთის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ქალბატონი ე. პალმი, თავჯდომარე,

ბატონი ლ. ფერარი ბრაგო,

ბატონი გაუკურ იორუნდსონი,

ბატონი რ. თიურმენი,

ბატონი ბ. ზუპანჩიჩი,

ბატონი ტ. პანტირუ,

ბატონი რ. მარუტე, მოსამართლეები და სექციის რეგისტრატორი ბატონი მ. ო'ბოილი

იმჯელა რა განცალკევებით, 2000 წლის 26 სექტემბერს, იმავე დღეს მიიღო შემდეგი განჩინება

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) ძველი რედაქციით 25-ე მუხლის შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში („კომისია“), თურქი ეროვნების ქალბატონი სეჰერ კარატაშის და ბატონი გიუვენ ბოდას („განმცხადებლები“) მიერ 1994 წლის 11 ივლისს შეტანილი განაცხადი (#24669/94).
2. განმცხადებლების წარმომადგენლები იყვნენ ადვოკატის ბატონი კამილ ტეკინ სურეკის მიერ, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ეწევა სტამბულში, თურქეთში. თურქეთის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდნენ მისი წარმომადგენლები.
3. განმცხადებლის მტკიცებით, ისინი გახდნენ კონვენციის მესამე მუხლის დარღვევის მსხვერპლნი, რადგან დაექვემდებარნენ სასტიკ მოპყრობას პოლიციის მხრიდან, როგორც დაკავებისას ასევე პოლიციაში პატიმრობის პერიოდში, 1994 წლის 5 თებერვალს.
4. კომისიის მიერ მთავრობისთვის განაცხადის შესახებ შეტყობინების შემდეგ, საქმე გადაეცა სასამართლოს, 1998 წლის პირველ ნოემბერს, კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად. 1999 წლის 14 სექტემბერს, მხარეთა მიერ შენიშვნების წარმოდგენის შემდეგ სასამართლომ განაცხადი დასაშვებად გამოაცხადა.
5. 2000 წლის 5 ივლისს, წერილობითი მასალების გაცვლის შემდეგ, სექციის რეგისტრატორმა შესთავაზა მხარეებს, ეცადათ დავის მორიგებით დასრულება, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის 38-ე მუხლის პირველი პარაგრაფით (ბ ქვეპუნქტი) და ასევე შესთავაზა გარკვეული პირობები, რომლებიც შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ მორიგებისას. 2000 წლის 24 ივლისსა და 2000 წლის 25 აგვისტოს მთავრობისა და განმცხადებლის წარმომადგენლებმა აცნობეს სასამართლოს, რომ ისინი შეთანხმდნენ შემოთავაზებულ პირობებზე.

## ფაქტობრივი გარემოებები

6. განმცხადებლები არიან “Gençlerin Sesi Dergisi”-ის ჟურნალისტები ( ჟურნალი ახალგაზდების ხმა), პირველი განმცხადებელი არის გამომცემელი და ამავდროულად მეპატრონე ამ გამომცემლობისა.
7. 1994 წლის 5 თებერვალს განმცხადებლები წავიდნენ უმრანიეში, სტამბულში არსებულ კოქატეპეს სასაფლაოზე რათა რეპორტაჟი მოემზადებინათ და ფოტოები გადაეღოთ, “Türkiye Devrimci Komünist Partisi”-ის (თურქეთის რევოლუციური კომუნისტური პარტიის) წევრის დასაფლავებაზე. დაკრძალვისას, ცერემონიის, რამდენიმე დამსწრემ დაიწყო დემონსტრაციული გამოსვლა. პოლიცია ჩაერია, ხოლო დემონსტრანტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. განმცხადებლები, როლებიც იღებდნენ აღნიშნული ინციდენტის ფოტოებს, დააკავეს და მოათავსეს უმრანიეს ცენტრალური პოლიციის საპატიმროში. თავიანთ განცხადებაში ამტკიცებდნენ, რომ მათ სცემეს პოლიციელებმა დაკრძალვის ცერემონიაზე, პოლიციის მანქანაში, როდესაც პოლიციის შენობისკენ მიჰყავდათ და პოლიციის საპატიმროში მოათავსების პერიოდში.
8. იმავე დღეს, შუალამის შემდეგ, განმცხადებლები გადაიყვანეს Haydarpasa Numune-ს საავადმყოფოში სამედიცინო გამოკვლევისთვის. პირველად სამედიცინო დასკვნაში, აღნიშნული იყო სხეულის უამრავი დაზიანება.
9. განმცხადებლები გაათავისუფლეს 1994 წლის 6 თებერვალს, პროკურორის მიერ მათი დაკითხვის შემდგომ.
10. 1994 წლის 15 თებერვალს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტმა, პირველადი გამოკვლევების საფუძველზე დაყრდნობით გამოსცა საბოლოო სამედიცინო დასკვნა. პირველი განმცხადებლის სამედიცინო დასკვნის თანახმად, განმცხადებელს აღენიშნებოდა ორივე გუგის გარშემო სისხლჩაქცევები, ასევე სისხლჩაქცევები ჰქონდა მხარის წინა ნაწილზე. მეორე განმცხადებლის სამედიცინო დასკვნის თანახმად, განმცხადებელს ცხვირი ერთი სანტიმეტრის სიგრძეზე ჰქონდა გადაჭრილი, მისი მარცხენა ყურის უკანა მხარეს ორი სანტიმეტრის სიგრძეზე აღენიშნებოდა ზედაპირული დაბეჭილობა, ასევე ჰემატომა ზომით 3x3 კეფის არეში და სისხლჩაქცევები მის მარცხენა ბეჭის მხარეს. ორივე სამედიცინო დასკვნის თანახმად, ეს დაზიანებები სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი არ იყო, თუმცა განმცხადებელი ვერ შეძლებდა თავისი საქმიანობის განხორციელებას ერთი კვირის განმავლობაში.
11. პროკურორის, 1994 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა უმრანიეს პოლიციის ოფიცრების მიმართ. პროკურორის თანახმად, შეკრებილმა მომიტინგეებმა, მათ შორის განმცხადებელმა TDKP-ს (თურქეთის რევოლუციური კომუნისტური პარტიის) დროშა აღმართეს კუბოზე, დაკრძალვისას და დემონსტრაციისას გამოყენებულ იქნა თურქეთის რესპუბლიკის და პოლიციის საწინააღმდეგო ბანერები და ლოზუნგები. როდესაც პოლიცია ცდილობდა ჩარევას, მომიტინგეებმა ქვების სროლა დაუწყეს და თავს დაესხნენ პოლიციას. როცა დემონსტრანტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას დაკავებისას, ამ უკანასკნელმა გამოიყენა ძალა, რომლის შედეგადაც მიადგათ ის დაზიანებები, რაც სამედიცინო დასკვნაში იყო აღნიშნული. პროკურორმა აღნიშნული ძალის გამოყენება კანონიერად მიიჩნია, პოლიციის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესახებ კანონის დებულებების შესაბამისად (*Polis Vazifeleri ve Selâhiyetleri Kanunu*).

12. განმცხადებელმა გაასაჩივრა პროკურორის გადაწყვეტილება, თუმცა, სასამართლომ არ მიიღო საჩივარი 1994 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით (*Agir Ceza Mahkemesi*).
13. სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომლის თანახმადაც განმცხადებლებს ბრალად ედებათ პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევა, რამდენადაც სასამართლოსთვის არის ცნობილი, ჯერ კიდევ მიდინარეობს უსკუდარის სისხლის სამართლის სასამართლოში (*Asliye Ceza Mahkemesi*).

## სამართალი

14. მთავრობის და განმცხადებლების წარმომადგენელებმა, 2000 წლის 24 ივლისსა და 25 აგვისტოს, სასამართლოს აცნობეს, რომ ისინი მორიგდნენ შემდეგ პირობებზე:
- 1) მთავრობა გადაუხდიდა თითოეულ განმცხადებელს 85 000 ფრანკს, რომელიც მოიცავს კომპენსაციას 10 000 ფრანკის ოდენობით გაწეული ხარჯებისათვის, აღნიშნული თანხის გადახდა მოხდება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან სამი თვის განმავლობაში. ეს გულისხმობს, რომ მთავრობა გადაიხდის ნებისმიერ პირდაპირ თუ არა პირდაპირ ხარჯებს თურქული ლირის სახით იმ კურსის მიხედვით, რაც იქნება დაწესებული გადახდის დღეს.
  - 2) აღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ მორიგებამდე ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი იქნება 2.74%
  - 3) ორივე მხარე უარს აცხადებს განჩინების გამოტანის შემდგომ, კონვენციის 43-ე მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, დიდი პალატისთვის მიმართვის მათ უფლებაზე.
15. სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეებს შორის მიღწეულ შეშანხმებას (კონვენციის 39-ე მუხლი). სასამართლო კმაყოფილია, რომ მორიგება მოხდა კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების შესაბამისად ( კონვენციის 37- ე მუხლის პირველი პარაგრაფი და სასამართლოს რეგლამენტი 62- მუხლის მე-3 პუნქტი).
16. შესაბამისად საქმე ამოღებულ იქნება განსახილველ საქმეთა სიიდან.

## ზემოთხსენებულიდან გამომდინარე სასამართლომ ერთხმად

1. გადაწყვიტა, ამოიღოს საქმე განსახილველ საქმეთა სიიდან
2. მიუთითებს, რომ მხარეები აღარ მოითხოვენ დიდი პალატის მიერ საქმის ხელახალ განხილვას.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გამოცემულია 2000 წლის 17 ოქტომბერს სასამართლოს რეგლამენტის 77 წესის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად.

მაკლ ოზოილე  
რეგისტრატორი

ელიზაბეტ პალმი  
თავჯდომარე